



## საია აცხადებს კონკურსს სასტუმრო მომსახურების შესასყიდად

საია აცხადებს კონკურსს 2016 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში (სავარაუდოდ, 19-27 ნოემბერს) გასამართი ტრენინგისათვის სასტუმრო მომსახურების საქართველოს მასშტაბით.

### მომსახურების მოცულობა:

შესასყიდ მომსახურებაში შედის, 2016 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში (თარიღი და სტუმრების/დღეების ზუსტი რაოდენობა დაზუსტდება მოგვიანებით):

### სტუმრების განთავსება:

1. 12 ადამიანი 8 ღამით (19-ში შესვლა, 27-ში გამოსვლა);
2. 5 ადამიანი 3 ღამით (21-ში შესვლა, 24-ში გამოსვლა);
3. 5 ადამიანი 3 ღამით (23-ში შესვლა, 26-ში გამოსვლა).

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სტუმრების კვება (დღეში 1 საუზმე, 1 სადილი და 2 ყავის შესვენება):

1. 22 ადამიანი - 20-21 ნოემბერი;
2. 23 ადამიანი - 22-23 ნოემბერი;
3. 23 ადამიანი - 24-25 ნოემბერი;
4. 21 ადამიანი - 26-27 ნოემბერი.

ტრენინგ-დარბაზი, ორგანიზებული U-ფორმით:

1. დარბაზი, რომელიც იტევს 20-მდე ტრენინგის მონაწილეს, ორგანიზებული წრიულად (U-ფორმით);
2. სინქრონული თარგმანის აპარატურა (22-25 ნოემბერს);
3. პროექტორი და პროექტორის ეკრანი.

## დამატებითი მოთხოვნები:

- სასტუმროს მოქნილობა სტუმრების განლაგებასთან დაკავშირებით;
- ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა;
- ვენტილაციის გამართული სისტემა;
- სისუფთავის მაღალი სტანდარტი.

## მომსახურების საფასური

აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ 10'000 ევრო. უფრო დაბალი ფასის შემოთავაზებებს მიენიჭებათ უპირატესობა შერჩევის პროცესში.

შერჩევის კრიტერიუმი

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მომსახურების მიმწოდებელს საია შეარჩევს შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- მომსახურების ფასი;
- მომსახურების ხარისხი;
- მოქნილობა პირობებში.

## კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- საერთო ფინანსური შემოთავაზება და ჩაშლილი დეტალური ბიუჯეტი;
- შემოთავაზებული მომსახურების დეტალური აღწერა ფოტომასალით (სასურველია);

**დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 9 ოქტომბერი. განაცხადები მიიღება ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - [macharashvili@gyla.ge](mailto:macharashvili@gyla.ge)**

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თეონა მაჭარაშვილს - 577 070594